საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/77

ქ. ბათუმი 30 ---- დეკემბერი, 2016 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წლის დეკემბერში ჩარიცხულ პირთათვის 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13, 66–ე მუხლების, 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სწავლის საფასურის გადახდის წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2016 წლის 28 დეკემბრის MES 6 16 01540370 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2016 წლის დეკემბერში ჩარიცხულ პირთათვის 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით განისაზღვროს სასწავლო პროცესის ვადები შემდეგნაირად:

ა) 2016-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2017 წლის 3 იანვარს და დამთავრდეს 2017 წლის 01 აპრილს;

ბ) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 03აპრილიდან 12 აპრილის ჩათვლით;

გ) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 18 აპრილიდან 22 აპრილის ჩათვლით;

დ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2017 წლის 24 აპრილს და დამთავრდეს 2016 წლის 29 ივლისს;

ე) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 31 ივლისიდან 12აგვისტოს ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 21აგვისტოდან 26 აგვისტოს ჩათვლით;

2. სააუდიტორიო მეცადინეობები ჩატარდეს ყოველდღე, გარდა კვირისა. ერთი აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.
3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან და კანცელარიასთან თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე), ასევე განთავსდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.
4. დაევალოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს უზრუნველყოს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთათვის სასწავლო პროცესთან დაკშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
5. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**